



# მეტალოპლასტმასისა და ალუმინის კარ-ფანჯრების დამამზადებელი - მემონტაჟე

---

პროფესიული სტანდარტი

1. დასახელება (ქართულად): მეტალოპლასტმასისა და ალუმინის კარ-ფანჯარების დამამზადებელი-მემონტაჟე

2. დასახელება (ინგლისურად): PVC (metal – Plastic) and aluminum Windows - Doors Constructor

3. პროფესიული სტანდარტის სარეგისტრაციო ნომერი:

4. პროფესიული სტანდარტის შესაბამისი კოდი „დასაქმების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორის“ (ISCO-08) მიხედვით - 3213

5. დასაქმების სფეროს აღწერა:

მეტალოპლასტმასისა და ალუმინის კარ-ფანჯარების დამამზადებელი-მემონტაჟე ამზადებს მეტალოპლასტმასისა და ალუმინის მასალისგან კარ - ფანჯარებს, ასრულებს სხვადასხვა ტიპის საცხოვრებელი და საზოგადოებრივი დანიშნულების შენობებსა და სამრეწველო ნაგებობებში მეტალოპლასტმასისა და ალუმინის კარ-ფანჯარების დემონტაჟისა და მონტაჟის სამუშაოებს საჭირო დაზგა - დანადგარებისა და ხელსაწყოების გამოყენებით.

6. სამუშაო გარემო და დასაქმების შესაძლებლობები:

მეტალოპლასტმასისა და ალუმინის კარ-ფანჯარების დამამზადებელი-მემონტაჟე მუშაობს ბუნებრივ გარემო პირობებში, ღია ცის ქვეშ, სიმაღლეზე, ხმაურში, ხშირად უწევს საქმიანობა რთულ კლიმატურ პირობებშიც.

მეტალოპლასტმასისა და ალუმინის კარ-ფანჯარების დამამზადებელი-მემონტაჟე შეიძლება დასაქმდეს ნებისმიერ სამშენებლო ობიექტზე, იგი შეიძლება იყოს თვითდასაქმებული ან დასაქმდეს სხვადასხვა ტიპის მრავალპროფილიან და მონოპროფილიან სამშენებლო - სარემონტო კომპანიებში, ასევე სამშენებლო მასალების შემომტან კომპანიებში კონსულტანტის პოზიციაზე.

7. აუცილებელი პროფესიული მოთხოვნები:

- მინიმალური ასაკი: 16 წელი

8. პროფესიული მოვალეობები და ამოცანები:

№	პროფესიული მოვალეობა	პროფესიული ამოცანა
1	სამუშაოს ორგანიზება	1. 1.ავასებს სამუშაო გარემოს 1. 2.ადგენს გეგმა - გრაფიკს 1. 3. აწყობს სამუშაო გარემოს 1.4. განსაზღვრავს საჭირო მასალების რაოდენობას 1.5.მობილიზებას უკეთებს საჭირო ხელსაწყოებსა და დაზგა -დანადგარებს 1. 6.განსაზღვრავს შესასრულებელი სამუშაოსთვის საჭირო ადამიანურ რესურსებს 1.7. განსაზღვრავს ტრანსპორტირების პირობებს
2	მეტალო პლასტმასის კარ-ფანჯარების დამზადება	2.1ადგენს მუშა ნახაზს 2.2. შეიმუშავებს მასალის განშლის ოპტიმალურ ვარიანტს 2.3.ჭრის პლასმასის პროფილს 2.4.ახორციელებს გაფრეზვას (იმპოსტი, ჩარჩო, ფრთა) 2.5. ახორციელებს არმირებას

		<p>2.6. ახორციელებს კუთხეების შედუღებას</p> <p>2.7. ასფრთავებს შედუღების ნაწიბურებს</p>
3	მეტალო პლასტმასის კარ-ფანჯრების აწყობა	<p>3.1. ამაგრებს იმპოსტს</p> <p>3.2. არჩევს ფურნიტურას</p> <p>3.3. არგებს ფურნიტურას,</p> <p>3.4. არეგულირებს ჩარჩოსა და ფრთის ურთიერთგანლაგებას</p> <p>3.5. ახორციელებს ხარისხის შუალედურ კონტროლს</p> <p>3.6. აღმოფხვრის ხარვეზებს</p> <p>3.7. ახორციელებს მინის ჩაჭიმვას</p>
4	ალუმინის კარ-ფანჯარების დამზადება	<p>4.1. ადგენს მუშა ნახაზს</p> <p>4.2. შეიმუშავებს განშლის ოპტიმალურ ვარიანტს</p> <p>4.3. ჭრის ალუმინის პროფილს</p> <p>4.4. ფრეზავს ალუმინის დეტალებს</p> <p>4.5. ჭრის კუთხის შემაერთებელ ალუმინის დეტალებს</p> <p>4.6. ახორციელებს ალუმინის კუთხეების შეერთებას</p>
5	მეტალოპლასტმასისა და ალუმინის კარ - ფანჯრის მონტაჟი	<p>5.1. აფასებს ტექნიკურად განსახორციელებელ სამუშაოებს</p> <p>5.2. ადგენს ესკიზს,</p> <p>5.3. ახორციელებს დემონტაჟს</p> <p>5.4. ამაგრებს ჩარჩოს ღიობში ნიშნულის გათვალისწინებით;</p> <p>5.5. ჩამოკიდებს მოძრავ ფრთებს</p> <p>5.6. ახორციელებს მინების ჩასმას</p> <p>5.7. ავსებს ღრეჩოებს სამონტაჟო ქაფით</p>
6	დამკვეთთან ურთიერთობა	<p>6.1. განსაზღვრავს დამკვეთის მოთხოვნებს</p> <p>6.2. ათანხმებს მომსახურების პირობებს</p> <p>6.3. წარუდგენს დამკვეთს სავარაუდო ხარჯთღირებვას</p> <p>6.4. ათანხმებს დამკვეთთან სამუშაო გეგმა-გრაფიკს</p> <p>6.5. აფორმებს ხელშეკრულებას</p> <p>6.6. აფორმებს საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტს სამუშაოს დასრულების შემდეგ</p>
7	პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა	<p>7.1. ეცნობა ინფორმაციას თანამედროვე ტენდენციებზე;</p> <p>7.2. მონაწილეობს პროფესიულ ტრენინგებსა და სემინარებში</p> <p>7.3. ესწრება პროფესიულ-თემატურ გამოფენებს</p> <p>7.4. აახლებს სამუშაოს შესასრულებლად მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას</p> <p>7.5. ეუფლება თანამედროვე ტექნოლოგიებს</p> <p>7.6. ზრდის თავისი სპეციალიზაციის არეალს</p>
8	საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფა	<p>8.1. აღმოუჩენს/უზრუნველყოფს პირველადი გადაუდებელი დახმარების გაწევას/დახმარებას.</p> <p>8.2. იცავს (პირად და სამუშაო ადგილის)</p>

	სანიტარულ-ჰიგიენური ნორმებს; 8.3. იცავს შრომითი უსაფრთხოების ნორმებს; 8. 4. იცავს გარემოს დაცვით ნორმებს; 8. 5.იცავს პროფესიულ ეთიკას.
--	---

**9. პიროვნული თვისებები:**

- პასუხისმგებლიანობა
- ყურადღებიანობა
- კონცენტრირებულობა
- კეთილსინდისიერება

**10. მატერიალური რესურსი:**

**ა) ინვენტარი, აღჭურვილობა:**

- სახაზავი (რულეტკა)
- ლაზერი
- თარაზო (დიდი პატარა)
- ელ.ბურღი,
- დრელი (ნასატკა, ),
- პერფორატორი (ნასატკებით)
- ბალგარკა,
- გელა,
- სატეხი,
- თათი,
- მაკრატელი (კომბინირებული),
- შეული,
- კიბე,
- კიბე- ხარაჩო,
- სპეცკვიპირება, (სათვალე, დამცავი ქამარი),
- მინის დეგუმები(მინაპაკეტის გადასატანად,
- პროფილების დასაჭრელი ხერხი,
- ორმაგი კოპირების ფრეზი,
- კომპრესორი,
- მეტალის დასაჭრელი ხერხი, არმირების დასაჭრელად,
- შესადუღებელი აპარატი (უთო);
- ნაწიბურების გასაწმენდი დანადგარი,
- ინპოსტის საფრეზი დანადგარი;
- ალუმინის საჭრელი ხერხი;
- ალუმინის კუთხეების საწნეხი აპარატი;
- პლასმასი კუთხეების შესადუღებელი აპარატი

**ბ) მასალა, ნედლეული:**

- მეტალის მასალა;
- პლასტმასის მასალა;
- ფანქარი;
- ფურცელი;
- ეკვიპირება (სპეცტანსაცმელი);
- ხელთათმანები.

**11. პროფესიის სამომავლო ტენდენციები:**

- სამანსარდე ფანჯრების დამზადება და ჩასმა,
- ზამთრის ბალების მოწყობა მეტალოპლასტმასით და ალუმინით,
- ალუმინის კიბისა და მოაჯირების მოწყობა.
- მინის გადახურვის მოწყობა,
- „სპაიდერული“ ფასადების მოწყობა.

**12. პროფესიული ცოდნა და უნარები:**

№	მოვალეობა	პროფესიული ცოდნა	პროფესიული უნარები
1.	სამუშაოს ორგანიზება	<p><b>იცის:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• განსხვავებულ კლიმატურ პირობებში მუშაობის წესები;</li> <li>• სამუშაო ადგილის სწორად ორგანიზების წესები;</li> <li>• გეგმა - გრაფიკის შედგენა;</li> <li>• სამუშაოს წარმადობის საზღვრები,</li> <li>• ტექნოლოგიური პროცესის თანმიმდევრობა,</li> <li>• შესასრულებელი სამუშაოს სირთულე;</li> <li>• მასალის ტიპები;</li> <li>• პროფილის ტიპები</li> <li>• თბოგამტარიანობის, მდგრადობის მიხედვით;</li> <li>• მასალისა და ფურნიტურის შენახვისა და დასაწყობების წესები;</li> <li>• მარტივი მათემატიკური გამოთვლები;</li> <li>• ხელსაწყოებისა და დაზგა - დანადგარების ტექნიკური მონაცემები;</li> <li>• ხელსაწყოების დანიშნულება;</li> <li>• დაზგა - დანადგარების შენახვისა და მოვლა-პატრონობის წესები;</li> <li>• სამუშაოს სპეციფიკა;</li> <li>• ტვირთის</li> <li>• ტრანსპორტირების წესები;</li> <li>• ტრანსპორტის სახეები;</li> <li>• უსაფრთხოების წესები და ნორმები;</li> <li>• უსაფრთხოების წესები და ნორმები ტვირთის გადაზიდვისთვის.</li> </ul>	<p><b>შეუძლია:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• კლიმატური პირობების შესაბამისად სამუშაოს დაგეგმვა;</li> <li>• სამუშაო ადგილის სწორად ორგანიზება;</li> <li>• შრომის უსაფრთხოების დაცვა;</li> <li>• აზომვითი სამუშაოების განხორციელება;</li> <li>• მეტალოპლასტმასის პროფილის შერჩევა კლიმატური პირობების, სიმაღლისა და დანიშნულების მიხედვით</li> <li>• შეკვეთის დამუშავება,;</li> <li>• სამუშაოს შესრულების ვადების განსაზღვრა;</li> <li>• პასუხისმგებელი პირების შერჩევა სამუშაოს შესასრულებლად;</li> <li>• ხელსაწყოების სამუშაო ადგილზე სამუშაოს თანმიმდევრობის; შესაბამისად განთავსება;</li> <li>• ტექნოლოგიური პროცესის წარმართვა ერგონომიკული თავისებურებების გათვალისწინებით;</li> <li>• მასალისა და ფურნიტურის დასაწყობება მათი ფიზიკური და მექანიკური თვისებების გათვალისწინებით;</li> <li>• სამუშაოს მოცულობის გამოთვლა;</li> <li>• მასალის ხარჯის დათვლა სამუშაოს მოცულობის შესაბამისად;</li> <li>• დანიშნულების მიხედვით ხელსაწყოების გამოყენება;</li> <li>• დანიშნულების მიხედვით</li> </ul>

			<p>დაზგა -დანადგარების გამოყენება;</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ხელსაწყოებისა და დაზგა დანადგარების დაზიანებების შეფასება;</li> <li>• ადამიანური რესურსის შეარჩევა კვალიფიკაციის მიხედვით;</li> <li>• ადამიანური რესურსის შეარჩევა შესასრულებელი სამუშაოს მოცულობის მიხედვით;</li> <li>• ტრანსპორტის შერჩევა ტვითის სპეციფიკის მიხედვით;</li> <li>• ტვირთის უსაფრთხოდ გადატანის ორგანიზება</li> </ul>
2.	<p><b>მეტალო პლასტმასის კარ-ფანჯრების დამზადება</b></p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ნახაზის შედგენის წესი;</li> <li>• ნახაზზე პირობითი აღნიშვნების მნიშვნელობა;</li> <li>• ხელშეკრულების დანართის შედგენა;</li> <li>• ხაზვის საფუძვლები,</li> <li>• გეომეტრიის საფუძვლები;</li> <li>• პლასტმასის პროფილის დაჭრის მეთოდი;</li> <li>• პლასტმასის პროფილის თავისებურებები ჭრილის ფორმის მიხედვით;</li> <li>• კუთხეების გამოყვანის ხერხი</li> <li>• ფრეზის შერჩვის მახასიათებლები;</li> <li>• პროფილის სხვადასხვა ფორმის გაფრეზვის სპეციფიკა;</li> <li>• მეტალის ტიპები,</li> <li>• მეტალის დაჭრის ხერხები,</li> <li>• არმირების განხორციელების</li> <li>• თვის საჭირო ტექნოლოგიური პროცესების თანმიმდევრობა;</li> <li>• შესადულებელი აპარატის ტემპრატურული მახასიათებლები;</li> <li>• პლასტმასის შედულების ტექნოლოგია;</li> <li>• უსაფრთხოების წესები შედულების აპარატთან მუშაობისას;</li> <li>• შედულების ნაწიბურების დამუშავების წესი,</li> <li>• შესასრულებელი სამუშაოსთვის შესაბამისი იარაღების შერჩევა,</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ნახაზის შედგენა;</li> <li>• ნახაზის წაკითხვა;</li> <li>• დამკვეთის მოთხოვნისა შესაბამისად პირობით აღნიშვნების ნახაზზე დატანა;</li> <li>• განშლის გაკეთება;</li> <li>• განშლის წაკითხვა;</li> <li>• პლასტმასის პროფილის დაჭრა უსაფრთხოების ნორმების დაცვით;</li> <li>• პლასტმასის პროფილის შერჩევა ჭრილის ფორმის მიხედვით;</li> <li>• პლასტმასის პროფილის კუთხეების გამოყვანა;</li> <li>• მეტალო პლასტმასის დეტალების გაფრეზვა;</li> <li>• დამოუკიდებლად;</li> <li>• მეტალის დაჭრა;</li> <li>• მიტალის და პლასტმასის შესაბამისი ფორმების დაწყვილება;</li> <li>• არმირების განხორციელება, ტექნოლოგიური პროცესის დაცვით;</li> <li>• შესადულებელი აპარატის დაყენება საჭირო ტემპერატურაზე;</li> <li>• პლასტმასის შედულება უსაფრთხოების წესების დაცვით;</li> <li>• შესაბამისი პროპორციით მასალის გამწვანება (სიგანე სიგანის პირისპირ, სიგრძე</li> </ul>

			<ul style="list-style-type: none"> <li>• სიგრძის პირისპირ);</li> <li>• ხელის იარაღების გამოყენება; ნაწიბურების მოსაშორებლად;</li> <li>• მექანიკური იარაღების გამოყენება ნაწიბურების მოსაშორებლად</li> </ul>
3.	მეტალო პლასტმასის კარ-ფანჯრების აწყობა	<ul style="list-style-type: none"> <li>• იმპოსტის ბალიშის დამაგრება;</li> <li>• ტიხრის ცენტრის სწორად განსაზღვრა;</li> <li>• იმპოსტის დამაგრების ხარისხის შემოწმების მეთოდი;</li> <li>• ჩამრაზი მოწყობილობის ტიპები;</li> <li>• ანჯამების ტიპები;</li> <li>• ფურნიტურის აწყობის წესი;</li> <li>• ფურნიტურის მორგების წესი;</li> <li>• სხვადასხვა ტიპის ფურნიტურის (სახელურების, ანჯამების, ისპანიოლეტის, შლიშტიკის, გაღება გადმოკიდების მექანიზმის, სლაიდური მექანიზმის, კუთხის გადამვანი და ა.შ.) მორგების წესი;</li> <li>• სისტემის შერჩევა ზომების მიხედვით;</li> <li>• ჩარჩოსა და ფრთის ურთიერთმორგების წესი.</li> <li>• ტექნიკური ხარვეზების შემოწმების მეთოდი;</li> <li>• მინის ან მინა-პაკეტის მორგების (ჩასმა - ჩაჭიმვის) მეთოდები;</li> <li>• გასაჭიმი საშუალებები</li> <li>• (კომბინირებული ბალიშები, პლასმასის ხიდურები და ფირფიტები);</li> <li>• გასაჭიმი საშუალებების ფუნქცია (დანიშნულება)</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ტიხრის სწორად ჩასმა მეტალოპლასტმასის ნაკეთობაში;</li> <li>• იმპოსტის ჩარჩოსთან ან ფრთასთან ერთ სიბტყეში განლაგება.;</li> <li>• ფურნიტურის არჩევა ზომების მიხედვით;</li> <li>• ფურნიტურის არჩევა დანიშნულების შესაბამისად;</li> <li>• ფურნიტურის არჩევა ნაკეთობის ტექნიკური მონაცემების შესაბამისად;</li> <li>• ფურნიტურის მორგება ნაკეთობაზე;</li> <li>• ფურნიტურის დამაგრება ნაკეთობაზე;</li> <li>• ფურნიტურის სისტემის შერჩევა;</li> <li>• ჩარჩოსა და ფრთის ურთიერთგანლაგების დარეგულირება;</li> <li>• ლირება;</li> <li>• ხარვეზის აღმოჩენა ვიზუალური დათვალიერებით;</li> <li>• ხარვეზის გამოსწორება დამოუკიდებლად;</li> <li>• წუნდებული მექანიზმის შეცვლა;</li> <li>• კორექტირების საშუალებების გამოყენება;</li> <li>• გასაჭიმი საშუალებების გამოყენება;</li> <li>• მინა - პაკეტის გასუფრთავება;</li> <li>• მინა-პაკეტის შესაბამისობის შემოწმება ჩარჩოს ან ფრთის ზომებთან;</li> </ul>
4.	ალუმინის კარ-ფანჯარების დამზადება	<ul style="list-style-type: none"> <li>• ნაზაზზე პირობითი აღნიშვნების მნიშვნელობა;</li> <li>• ხელშეკრულების დანართის შედგენა;</li> <li>• ხაზვის საფუძვლები,</li> <li>• მარტივი მათემატიკური</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ნაზაზის წაკითხვა;</li> <li>• ნაზაზის შესადგენად საჭირო ყველა კომპონენტის გათვალისწინება: ფერი, ზომა, კონსტრუქციის ფორმა და სამუშაო ადგილის</li> </ul>

		<p>გამოთვლები;</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• გეომეტრიის საფუძვლები.</li> <li>• ალუმინის დაჭრის ტექნიკა,</li> <li>• ალუმინის საჭრელი ხელსაწყოების დანიშნულება;</li> <li>• ფრეზის შერჩვის მახასიათებლები;</li> <li>• პროფილის სხვადასხვა ფორმის გაფრეზვის სპეციფიკა;</li> <li>• პროფილების სახეობის მიხედვით ალუმინის კუთხის შემაერთებელი დეტალების შერჩევის წესი;</li> <li>• კუთხის შემაერთებელ დეტალების ზომის შერჩევის მეთოდი;</li> <li>• კუთხის შემაერთებელი დეტალების პროფილებთან მორგების მეთოდი;</li> <li>• კუთხეების სჭვალეობით დამაგრების წესი</li> </ul>	<p>სპეციფიკა,</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• განშლის გაკეთება;</li> <li>• განშლის წაკითხვა;</li> <li>• ალუმინის პროფილის დაჭრა უსაფრთხოების ნორმების დაცვით;</li> <li>• ალუმინის პროფილის კუთხეების გამოყვანა;</li> <li>• ალუმინის საჭრელი ხმუშა ნახაზის მაშტაბში შედგენა;</li> <li>• ელსაწყოების გამოყენება</li> <li>• ალუმინის დეტალების გაფრეზვა დამოუკიდებლად;</li> <li>• საჭრელ დაზგაზე ალუმინის კუთხის შემაერთებელი ედეტალების ზომაზე დაჭრა;</li> <li>• ალუმინის კუთხეების შესაერთებელი დეტალების შერჩევა;</li> <li>• ალუმინის კუთხეების შერთება;</li> <li>• ალუმინის კუთხეების დაწნეხვა.</li> <li>• სჭვალეობით კუთხეების დამაგრება</li> </ul>
<p>5. მეტალოპლასტმასისა და ალუმინის კარ - ფანჯრის მონტაჟი</p>		<ul style="list-style-type: none"> <li>• პროექტში საქმიანობისთვის საჭირო პირობითი ნიშნების ამოცნობა;</li> <li>• სამუშაოების შესარულების სპეციფიკა</li> <li>• ღიობების აზომვის წესები;</li> <li>• ღიობის ფორმები,</li> <li>• ნულოვანი ნიშნულის განსაზღვრის წესი;</li> <li>• ესკიზის ელემენტები</li> <li>• დემონაჟის სამუშაოების</li> <li>• თანმიმდევრობა;</li> <li>• დემონტაჟის შესრულების ტექნიკა;</li> <li>• თარაზოსა და შვეულის გამოყენების წესები;</li> <li>• თანამედროვე მზომი და სანიშნი ხელსაწყოების გამოყენების წესები;</li> <li>• სამუშაოს შესასრულებლად საჭირო ტექნიკური საშუალებების გამოყენების წესები;</li> <li>• ჩარჩოს ვერტიკალში გასწორების წესი;</li> <li>• ჩამრაზი ბუთულების დანიშნულება;</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ტექნიკურად განსახორციელებელი სამუშაო</li> <li>• ბის შეფასება;</li> <li>• ღიობის ზუსტი ანაზომების გაკეთება;</li> <li>• ნულოვანი ნიშნულის დატანა ესკიზზე;</li> <li>• ღიობის ესკიზის შედგენა ღიობის სპეციფიკის შესაბამისად;</li> <li>• უსაფრთხოების ნორმების დაცვით დემონტაჟის სამუშაოების შესრულება;</li> <li>• შესაბამისი ტექნიკური საშუალებებით დემონტაჟის განხორციელება;</li> <li>• თარაზოსა და შვეულის გამოყენება;</li> <li>• თანამედროვე მზომი და სანიშნი ხელსაწყოების გამოყენება; ( ლაზერი, მანძილმზომი)</li> <li>• ჩარჩოს ვერტიკალში გასწორება;</li> </ul>



		<ul style="list-style-type: none"> <li>• მინას ალუმინის ჩარჩოში ჩასმის მეთოდი;</li> <li>• შტაპიკებით (თამასებით) მინის ჩამაგრების მეთოდი;</li> <li>• მინის დარეზინების წესი</li> <li>• ჩარჩოს სამონტაჟო ქაფით დამაგრების წესები,</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ხარვეზის აღმოჩენა;</li> <li>• ჩამრაზი ბურთულეების შლიშტიკთან შესაბამისობაში მოყვანა.</li> <li>• შუძლია მინას ალუმინის ჩარჩოში ჩასმა;</li> <li>• შტაპიკებით (თამასებით) მინის ჩამაგრება;</li> <li>• მინის დარეზინება;</li> <li>• სამონტაჟო ქაფის დანიშნულებისამებრ გამოყენება,</li> </ul>
6.	დამკვეთთან ურთიერთობა	<ul style="list-style-type: none"> <li>• სამუშაოს სპეციფიკა;</li> <li>• დამკვეთის მოთხოვნის ყურადღებით მოსმენა;</li> <li>• სამუშაოს შესრულების ტექნოლოგია;</li> <li>• სამუშაოს თავისებურებები;</li> <li>• სამუშაოს შესასრულებლად საჭირო მასალების სპეციფიკა;</li> <li>• სამუშაოს თითოეული ეტაპისთვის საჭირო ვადა;</li> <li>• შრომის უსაფრთხოების ნორმები</li> <li>• შესასრულებელი სამუშაოების ხარჯთაღრიცხვის ძირითადი ელემენტები;</li> <li>• ექსელის პროგრამა;</li> <li>• ტექნოლოგიური პროცესის თანმიმდევრობა;</li> <li>• თითოეული ტექნოლოგიური ციკლისთვის საჭირო დრო;</li> <li>• სამუშაო არეალის კლიმატურ-გეოგრაფიული თავისებურებები;</li> <li>• შენობის სპეციფიკა;</li> <li>• დამკვეთსა და შემსრულებელს შორის უფლებამოვალეობების გადანა</li> <li>• წილების ძირითადი პრინციპები;</li> <li>• ხელშეკრულების შემადგენელი ძირითადი პუნქტების შინაარსი;</li> <li>• მიღება-ჩაბარების აქტის მნიშვნელობა;</li> <li>• მიღება - ჩაბარების აქტის ძირითადი პუნქტები</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ინფორმაციის ყურადღებით მოსმენა;</li> <li>• დამკვეთის მოთხოვნების განსაზღვრა;</li> <li>• ეფექტური კომუნიკაციის განხორციელება</li> <li>• დამკვეთთან;</li> <li>• დამკვეთსთვის შესასრულებელი სამუშაოს სირთულის დასაბუთება;</li> <li>• სამუშაო ობიექტის შეფასება;</li> <li>• შესასრულებელი სამუშაოს თავისებურებების გათვალისწინებით შესატყვისი მასალების შერჩევა;</li> <li>• სამუშაოს შესრულების სავარაუდო ვადის განსაზღვრა;</li> <li>• შეუძლია უსაფრთხო სამუშაო გარემოს მოწყობა;</li> <li>• შესრულებული სამუშაოებისთვის ელემენტარული ხარჯთაღრიცხვის შედგენა;</li> <li>• ხარჯთაღრიცხვის ექსელის ცხრილებში ჩასმა;</li> <li>• სამუშაო გეგმა-გრაფიკის შედგენა;</li> <li>• სამუშაოს შესასრულებლად დროის ოპტიმალურად განაწილება შეუძლია;</li> <li>• მომსახურების ხელშეკრულების გაანალიზება;</li> <li>• მომსახურების ხელშეკრულებით გაფორმება;</li> <li>• მარტივი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება.</li> </ul>

<p>7. პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• საჭირო პროგრამები</li> <li>• კომპიუტერში სამუშაოდ;</li> <li>• ახალი ინფორმაციის მოძიების ტექნოლოგიები;</li> <li>• ინფორმაციის დამუშავება;</li> <li>• მუდმივი პროფესიული განვითარების მნიშვნელობა;</li> <li>• სიახლეების პრაქტიკაში დანერგვის აუცილებლობა;</li> <li>• პროფესიულ-თემატურ გამოფენებში მონაწილეობის მიღებისა და დასწრების მნიშვნელობა;</li> <li>• პროფესიულ-თემატური გამოფენების ჩატარების ადგილები და პერიოდულობა;</li> <li>• თანამედროვე ტენდენციების მიხედვით საკუთარი საქმიანობის მატერიალურ ტექნიკური ბაზის განახლების მნიშვნელობა პროფესიული განვითარებისათვის;</li> <li>• სამუშაოს შესრულების თანამედროვე ტექნოლოგიების მნიშვნელობა პროფესიული განვითარებისთვის</li> <li>• სამუშაოს შესრულებაში სერვისის გაუმჯობესების მნიშვნელობა;</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ისარგებლოს/გამოიყენოს/ თანამედროვე საინფორმაციო საშუალებებით ინფორმაციის მოსაძიებლად;</li> <li>• ინფორმაციის მოძიება - დამუშავება,</li> <li>• ეფექტური კომუნიკაცია;</li> <li>• ტრენინგებსა და პროფესიული განვითარების ღონისძიებებში მიღებული ინფორმაციის გაანალიზება;</li> <li>• ტრენინგებსა და პროფესიული განვითარების ღონისძიებებში მიღებული გამოცდილების დანერგვა პრაქტიკაში</li> <li>• დაესწროს ან მონაწილეობა მიიღოს პროფესიულ-თემატურ გამოფენებში;</li> <li>• გაანალიზოს პროფესიულ-თემატურ გამოფენებზე მიღებული ინფორმაცია;</li> <li>• პრაქტიკაში გამოიყენოს პროფესიულ-თემატურ გამოფენებზე მიღებული ინფორმაცია;</li> <li>• განსაზღვროს მოცემული მომენტისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების შეძენის აუცილებლობა;</li> <li>• შესაძლებლობების შესაბამისად დაგეგმოს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება;</li> <li>• დაეუფლოს თანამედროვე ტექნოლოგიებს;</li> <li>• თანამედროვე ტექნოლოგიების პრაქტიკაში გამოყენება;</li> <li>• შეუძლია, ბაზრის მოთხოვნის შესაბამისად, სპეციალიზაციის არეალის გაზრდა.</li> </ul>
<p>8. საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფა:</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• არტაშანის დადება;</li> <li>• იცნობს სამედიცინო კომპლექტის შემადგენლობას;</li> <li>• ლახტის დადება;</li> <li>• ორგანიზაციის უსაფრთხოების ინსტრუქციებს;</li> <li>• სპეცტანსაცმელის დანიშნულება;</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• პირველადი დახმარების კომპლექტის გამოყენება;</li> <li>• პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენა მოტეხილობის დროს;</li> <li>• პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენა</li> </ul>

		<ul style="list-style-type: none"> <li>• ხელსაწყოების და მექანიკური მანქანა-დანადგარების ექსპლუატაციის წესები;</li> <li>• სამუშაოს უსაფრთხოდ წარმოების ნორმები;</li> <li>• საჭირო მანქანა-მექანიზმების გამოყენების შესახებ;</li> <li>• მწარმოებლის ინსტრუქციები</li> <li>• უბედურების შემთხვევების შეტყობინებისა და ავარიული სიტუაციების დროს შესასრულებელი პროცედურები;</li> <li>• გარემოს დაცვით ნორმებს;</li> <li>• ურთიერთობის წესები;</li> <li>• პროფესიული ეთიკის ნორმები.</li> </ul>	<p>დაუქეილობის დროს;</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენა სისხლდენის დროს;</li> <li>• პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენა დენით დამწვრობის დროს</li> <li>• პირადი ჰიგიენის დაცვა;</li> <li>• სამუშაო ადგილის ჰიგიენის ნორმების დაცვა;</li> <li>• შუძლია საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში აღმოფხვრას შენიშნული ხარვეზები;</li> <li>• საქმიანობა აწარმოოს გარემოს დაცვით;</li> <li>• არ დააბინძუროს გარემო ნარჩენებით და ქიმიური ხსნარებით;</li> <li>• დაიცვას მწვანე ნარგავები დაზიანებისგან თავისი კომპეტენციის ფარგლებში</li> </ul>
--	--	---	---

**13. პროფესიული სტანდარტის შემმუშავებელი ორგანიზაციის წევრები:**

№	სახელიდაგვარი	ორგანიზაცია, პოზიცია
1	ნათია ქუტიძე	შ.პ.ს. „დიო“, კადრების მენეჯერი
2	სოსო სიმონია	შ.პ.ს. „დიო“, დამზადების ჯგუფის მენეჯერი
3	მერაბ ქურდაძე	დამამზადელი , მემონტაჟე
4	რობერტ გელაშვილი	თვითდასაქმებული, სამშენებლო სამუშაოთა მწარმოებელი
5	გელა ჩხაიძე	შ.პ.ს. „ალბატროსი“ , წარმოების მენეჯერი
6	ზვიადი ქოიავა	შ.პ.ს. „მეგა ცენტრი“, -სამშენებლო კომპანია, დირექტორი
7	დავით სუთიძე	სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო, სამშენებლო სამსახურის უფროსის მოადგილე
8	ბესარიონ კეკელიძე	შ.პ.ს. „ბუნება“, წარმოების ხელოსანი
9	ლილი ხალვაში	შ.პ.ს. „მეგა სერვის ცენტრი“, სამშენებლო კომპანია, ადამიანური რესურსების მენეჯერი
10	გიორგი ზუზბაია	შ.პ.ს. „ალბატროსი“, წარმოების მენეჯერი“
11	მამუკა ციციშვილი	ი/მ , დამამზადებელი მემონტაჟე

**დასახელება:** მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯარების დამამზადებელი-მემონტაჟე

### **შეფასების სტანდარტი**

#### **ნაწილი 1. ზოგადი ინფორმაცია**

შეფასების სტანდარტი გამოიყენება ფორმალური განათლების ან/და არაფორმალური განათლების ფარგლებში შექმნილი კომპეტენციების, ცოდნისა და უნარების აღიარების მიზნით.

შეფასების სტანდარტი განსაზღვრავს პროფესიულ სტანდარტში ასახული კომპეტენციების, ცოდნისა და უნარების შეფასების ან/და დადასტურების აუცილებელ პირობებს:

1. შესაფასებელ კომპეტენციებს, რომლებიც გამოხატულია პროფესიული მოვალეობებსა და ამოცანებში;

2. შესაფასებელი კომპეტენციების შეფასების კრიტერიუმებს, რომლებიც ასახავს აუცილებელ პროფესიულ ცოდნასა და უნარებს;
3. შესაფასებელი კომპეტენციების დადასტურების შესაძლებლობებს;
4. გამოცდის პროცესს და კომპონენტებს.

### **შესაფასებელი კომპეტენციების დადასტურება**

შესაფასებელი კომპეტენციების დადასტურების გზები:

- ა) ფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება (ჩათვლა);
- ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული კომპეტენციების დადასტურება (ნამდვილობის დადასტურება) განათლების და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილი წესით;
- გ) მიღწეული კომპეტენციების დადასტურება ამ დოკუმენტით დადგენილი პრინციპებით ჩატარებული გამოცდის გზით.

ფორმალურ განათლებაში სტანდარტით გათვალისწინებული შეფასების პროცესის წარმართვასთან დაკავშირებული მოთხოვნები ასახულია სავალდებულო პროფესიულ მოდულებში.

### **ფორმალურ განათლებაში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების (ჩათვლის) პროცესი**

ფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების (ჩათვლის) პროცესი მოიცავს მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებას (ჩათვლას) საძიებელი კვალიფიკაციის მიზნებისათვის ქვემოთ მოცემული პრინციპების შესაბამისად:

ა) დასაშვებია მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება (ჩათვლა) ნებისმიერი კვალიფიკაციის ფარგლებში, თუ სწავლის შედეგები თავსებადია საძიებელ კვალიფიკაციასთან და მათი მიღწევა დადასტურებულია, რაც გამოიხატება საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული დადებითი შეფასებით და შესაბამისი კრედიტის მინიჭებით.

ბ) თავსებადობის დადგენისთვის, შინაარსობრივი შესწავლის მიზნით, ამღიარებელი დაწესებულება ეყრდნობა პროფესიულ სტანდარტს ან/და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს, რომლის საფუძველზეც არის შემუშავებული გავლილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ან პროგრამის კომპონენტი, არსებობის შემთხვევაში - პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ან/და სილაბუსებს, ან/და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგს. ამღიარებელი დაწესებულება უფლებამოსილია აღიარების მიზნებისათვის შესაფასებელ პირს მოსთხოვოს გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის/სასწავლო კურსების პროგრამების (სილაბუსების) გამოთხოვა საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან და წარდგენა.

გ) სწავლის შედეგების თავსებადობის განსაზღვრის მიზნით, აუცილებელი არაა მათი ფორმულირება იყოს იდენტური. თავსებადად ჩაითვლება სწავლის შედეგები, რომლის/რომელთა ერთობლიობაც, შინაარსის თვალსაზრისით, ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერის გათვალისწინებით, შესაძლოა მიჩნეულ იქნას ანალოგიურად.

### **ნაწილი 2. მითითებები შესაფასებელი პირის ადა შემფასებლისათვის**

შეფასების დაწყებამდე გაეცანით:

- პროფესიულ სტანდარტს

- შეფასების ინსტრუმენტებს
- დაინტერესებული/შესაფასებელი პირის კომპეტენციების აღიარებასთან დაკავშირებულ შესაძლებლობებს
- შემფასებლის ჩანაწერების ფორმებს
- შეფასების პირობებს
- შეფასების წესებს
- შეფასების კრიტერიუმებს

#### **შეფასების პროცესში:**

- პირადად დააკვირდით დავალებების შესრულების/შეფასების პროცესს
- თითოეული შესაფასებლისათვის აწარმოეთ შეფასების ჩანაწერების ფორმები
- თუ აუცილებელია, შესაფასებელს დაუსვით დამატებითი შეკითხვები დავალებასთან დაკავშირებით
- შეაფასეთ თითოეული კრიტერიუმი

#### **შეფასების დასრულებისას:**

- შესაფასებელს მიეცით განმარტება შეფასებასთან დაკავშირებით
- შეაჯამეთ შეფასების შედეგები
- დაადასტურეთ შეფასების შედეგები ხელმოწერით
- შეფასების ჩანაწერები გადაეცით სათანადოდ უფლებამოსილ პირს

#### **ნაწილი 3. შეფასების პროცედურა**

##### **მიღწეული კომპეტენციების დადასტურებისთვის გამოცდის ორგანიზების პროცესი და კომპონენტები**

მიღწეული კომპეტენციების დადასტურებისთვის გამოცდის ჩატარების პროცესი მოიცავს დასადასტურებელი კომპეტენციების შესაბამისად გამოკითხვისა და პრაქტიკული დავალების შესრულების ეტაპებს.

მიუხედავად იმისა, დასტურდება თუ არა კვალიფიკაციით გათვალისწინებული კომპეტენციები, შეფასების სტანდარტის ნაწილი 1-ის „შესაფასებელი კომპეტენციების დადასტურება“ „ა“ და „ბ“ პუნქტებით გათვალისწინებული შესაძლებლობებით, შეფასების პროცესი მოიცავს სავალდებულო

კომპონენტს (გამოცდას), რომლის შეფასება შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭების წინაპირობას წარმოადგენს.

ქვემოთ მოცემულია გამოკითხვისა და პრაქტიკულ დავალებაზე დაკვირვების პროცესის მოთხოვნები, ასევე შეფასების სავალდებულო კომპონენტები.

#### **ნაწილი 4. თეორიული გამოკითხვის და პრაქტიკული /დავალებების თემატიკა**

##### **გამოკითხვა**

##### **გამოკითხვის ფორმა:**

- შესაფასებელი პირის გამოკითხვა ხორციელდება ტესტის და ზეპირი შეკითხვების სახით;
- ტესტი უნდა მოიცავდეს როგორც ღია, ისე დახურული ტიპის შეკითხვებს.

##### **გამოკითხვის პროცესის მონიტორინგი:**

არსებითია გამოკითხვის პროცესზე შემფასებლის მიერ ზედამხედველობის განხორციელება;

##### **მოპოვებული მტკიცებულებები**

**მტკიცებულებები უზრუნველყოფილია შესაფასებლის მიერ მომზადებული წერილობითი ნაშრომით/შესრულებული ტესტით ან/და პრაქტიკული დავალების დროს დამატებით, დამაზუსტებელ შეკითხვებზე პასუხებით.**

##### **თეორიული საგამოცდო თემატიკა:**

- დასადასტურებელი კომპეტენციების შესაბამისად საგამოცდო თემატიკა შეიძლება მოიცავდეს შემდეგ საკითხებს:
  - ა) ძირითადი და დამხმარე აღჭურვილობის და მასალა ნედლეულის სახეები;
  - ბ) მეტალო-პლასტმასის და ალუმინის კარ-ფანჯრების დამზადების ტექნოლოგია;
  - გ) მონტაჟის წესები;
  - დ) დემონტაჟის წესები;
  - ე) შრომის უსაფრთხოების წესები;
  - ვ) მომხმარებელთან/დამკვეთთან ურთიერთობის ნორმები.

სავალდებულო კომპონენტის (გამოცდის) საკითხების შერჩევა ზემოთ მოცემული საკითხებიდან წარმოადგენს შემფასებლის პრეროგატივას.

#### **ნაწილი 5. პრაქტიკული დავალების/დავალებები შესრულების/შეფასების კრიტერიუმების მითითებებით:**

პრაქტიკული დავალების შესრულებაზე დაკვირვება.

### **საგამოცდო გარემო:**

შესაფასებელი პირის შეფასება ხორციელდება პრაქტიკული დავალებების სახით.

### **საგამოცდო პროცესის მონიტორინგი:**

საგამოცდო პროცესის მონიტორინგს ახორციელებს შემფასებელი/შემფასებლები (ნეიტრალური კომისია) წინასწარი დადგენილი წესისა და პროცედურების დაცვით.

### **მოპოვებული მტკიცებულებები:**

მტკიცებულებები უზრუნველყოფილია შემფასებლის მიერ შევსებული ჩანაწერების ფორმით.

### **საგამოცდო პრაქტიკული დავალებების ჩამონათვალი:**

**დასადასტურებელი კომპეტენციების შესაბამისად სტუდენტმა უნდა შეასრულოს დავალება:**  
რომლებიც შეიძლება მოიცავდეს შემდეგს:

- ა) მეტალო-პლასტმასის კარ-ფანჯრების დამზადება;
- ბ) ალუმინის კარ-ფანჯრების დამზადება;
- გ) მეტალო-პლასტმასის კარ-ფანჯრების აწყობა;
- დ) ალუმინის კარ-ფანჯრების მონტაჟი.

### **გაითვალისწინეთ:**

1. შესაფასებელი პირის მიერ შესრულებული სამუშაოს წარმოებისას ეკონომიური, ხარისხის უზრუნველყოფის, გარემოს დაცვის, სამართლებრივი, უსაფრთხოების წესების დაცვის, ჰიგიენის დაცვის მიდგომების, სამუშაოს შესრულების თანამიმდევრობის შეფასება წარმოადგენს ზემოთჩამოთვლილ დავალებებზე დაკვირვების თანამდევ პროცესს და მასზე დამატებითი დროის გამოყოფა არაა რეკომენდებული;
2. შემფასებლის მიერ დამატებითი კითხვების დასმის შემთხვევაში შესაფასებელი პირი პასუხობს მათ და საჭიროებისამებრ მოჰყავს საკუთარი ქმედების/ გადაწყვეტილების შესაბამისი არგუმენტები;
3. სავალდებულო კომპონენტის (გამოცდის) საკითხების შერჩევა ზემოთ მოცემული საკითხებიდან წარმოადგენს შემფასებლის პრეროგატივას.

### **ნაწილი 6. საჭიროების შემთხვევაში დამატებითი ინფორმაცია**

**შემფასებლის ჩანაწერების ფორმები**  
**შესაფასებელი პირის სახელი, გვარი:**

**შეფასების თარიღი:**

**შეფასების ადგილი:**



შემფასებლის სახელი, გვარი:

დადასტურებული ომპეტენცია	მტკიცებულებები		
	ფორმალური განათლების აღიარება (დანართი N)	არაფორმალური განათლების აღიარება (დანართი N)	გამოცდა (დანართი N)

შედეგი: დადასტურდა -----/ არ დადასტურდა -----

შემფასებლის კომენტარი:

დადასტურება: